# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

N1963 2025 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

**„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის გოგა გულორდავას, ვლადიმერ ტატიშვილისა და ილია მიქელაიშვილის კანდიდატურების წარდგენის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების მოწონების თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის $7^3$ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის 2025 წლის 26 ნოემბრის №26/11/01 განკარგულება „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის გოგა გულორდავას, ვლადიმერ ტატიშვილისა და ილია მიქელაიშვილის კანდიდატურების წარდგენის შესახებ“;

ბ) განხორციელდეს ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტში მითითებული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახელმოწერა.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

**N26/11/01 2025 წლის 26 ნოემბერი ქ. თბილისი**

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის გოგა გულორდავას, ვლადიმერ ტატიშვილისა და ილია მიქელაიშვილის კანდიდატურების წარდგენის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარედგინოს საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი **გოგა გულორდავას, ვლადიმერ ტატიშვილისა** და **ილია მიქელაიშვილის** კანდიდატურები.

მიხეილ ყაველაშვილი

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

# საქართველოს მთავრობა

**საქართველოს პრეზიდენტს**

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოგიდგენთ **გოგა გულორდავას**, **ვლადიმერ ტატიშვილისა** და **ილია მიქელაიშვილის** კანდიდატურებს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

№ 1/20872
26.11.2025
73 ფურცელი

N 31569
26.11.2025

# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N1951 2025 წლის 25 ნოემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გ. გულორდავას, ვ. ტატიშვილისა და ი. მიქელაიშვილის კანდიდატურების საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენის თაობაზე**

საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტის მიერ არჩევის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტს წარედგინოს **გოგა გულორდავას, ვლადიმერ ტატიშვილისა** და **ილია მიქელაიშვილის** კანდიდატურები.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე